

ჯანსაღი ცხოვრების წესი
გიორგი მამასახლისი

ჯანსაღი ცხოვრების წესი - თამბაქო

გიორგი მამასახლისი
სსიპ ქალაქ თბილისის N81 საჯარო სკოლა

I.გაკვეთილის სათაური - „ჯანსაღი ცხოვრების წესი - თამბაქო“

კლასი - IX

საგანი -სპორტი

II.სასწავლო მიზნები:

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები:

სპ.VII-IX.1. მოსწავლეს შეუძლია გაითავისოს ჯანსაღი ცხოვრების წესი, როგორც ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და საზოგადოებაში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ✓ აღწერს, თუ რა ზეგავლენას ახდენს თამბაქოს მოხმარება ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, მის სოციალურ სტატუსზე.

მედიაწიგნიერების მიზნები:

- ✓ მედიარესურსების კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- ✓ სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- ✓ მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
- ✓ სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება.

III.უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

მედიარესურსები - წიგნები, ჟურნალები, რადიო და სატელევიზიო გზავნილები, ფილმები, ვიდეოთამაშები, სოციალური ქსელები და სხვა;

პრეზენტაცია - რაიმე საკითხის საჯარო წარდგენა აუდიტორიის წინაშე;

რეპრეზენტაცია - რაიმეს ხელახლა წარმოდგენა; იდეა, აზრი, სენსორული ან შეფასებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

IV. საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

მასწავლებლის სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ვებმისამართები, შეფასების ფურცლები, პრეზენტაცია „ჯანსაღი ცხოვრების წესი - თამბაქო“.

V. შენიშვნები:

გაკვეთილის ჩასატარებლად აუცილებელია ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი და პროექტორი, რათა მოსწავლეებმა ნახონ ჩემ მიერ მომზადებული პრეზენტაცია „ჯანსაღი ცხოვრების წესი - თამბაქო“ და აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, გაეცნონ ინტერნეტრესურსებს.

VI. გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

აქტივობა პირველი - კითხვა-პასუხი (5 წთ):

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

კითხვა: რა გავლენას ახდენს თამბაქო ადამიანის ორგანიზმზე?

სავარაუდო პასუხი: თამბაქო ადამიანის ორგანიზმზე ახდენს მავნე ზეგავლენას.

შენიშვნა:

მოსწავლეებს თამბაქოს ორგანიზმზე მავნე ზეგავლენის შესახებ ზედაპირული და ზოგადინფორმაციული ცოდნა აქვთ, რაც დასტურდება მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვაზე მათ მიერ გაცემული პასუხებით.

აქტივობა მეორე - სიგარეტის რეკლამისა და ვიდეორგოლების ჩვენება (5წთ):

კომპიუტერისა და პროექტორის საშუალებით ბავშვებს ვაჩვენებთ ქალაქის ქუჩებში განთავსებულ სიგარეტის რეკლამას და ინტერნეტის საშუალებით ვაყურებინებთ სიგარეტის 2 ვიდეორგოლს:

ჯანსაღი ცხოვრების წესი
გიორგი მამასახლისი
ქალაქის ქუჩებში განთავსებული სიგარეტის რეკლამა -



პირველ ვიდეორგოლში ნაჩვენებია სიგარეტის მიმზიდველი რეკლამა -

<https://www.youtube.com/watch?v=PGWarINnX2g>

მეორე ვიდეორგოლში ნაჩვენებია და ახსნილია სიგარეტის მავნე ზეგავლენა ორგანიზმზე-

<https://www.youtube.com/watch?v=zh0fO-COqgM>

აქტივობა მესამე - დისკუსია (10წთ):

სიგარეტის რეკლამისა და ვიდეორგოლების ჩვენების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

კითხვა: რას ყვება მედია სიგარეტის შესახებ პირველ ვიდეორგოლში?

სავარაუდო პასუხი: პირველ ვიდეოში სიგარეტის რეკლამა იყო ძალზედ მიმზიდველი, მისი კოლოფის დიზაინით და ფერით, აგრეთვე, ახსნილი იყო სიგარეტის მსუბუქი, ბუნებრივი და მიმზიდველი გემო.

კითხვა: რას ყვება მედია სიგარეტის შესახებ მეორე ვიდეორგოლში?

სავარაუდო პასუხი: მეორე ვიდეორგოლში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამტკიცებს, თითქოს, „სიგარეტს ეწევიან ნამდვილი მამაკაცები“, სინამდვილეში, რეკლამის ავტორებმა სიმართლე შეურიეს სიცრუეში და ადამიანები შეიყვანეს შეცდომაში.

ჯანსაღი ცხოვრების წესი
გიორგი მამასახლისი

კითხვა: მეორე ვიდეორგოლში რა არგუმენტები არსებობს იმის დასასაბუთებლად, რომ სიგარეტის მოწევა იწვევს ორგანიზმის მოწამვლას?

სავარაუდო პასუხი: მასში ნაჩვენებია იმ ადამიანების ცხოვრება და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომლებიც აკეთებდნენ სიგარეტის რეკლამებს. მათი თქმით, სინამდვილეში, სიგარეტის მოწევამ მათში გამოიწვია ფილტვების კიბო.

კითხვა: რომელი ვიდეორგოლი უფრო სანდოა? რატომ?

სავარაუდო პასუხი: მეორე ვიდეორგოლი უფრო სანდოა, იმიტომ, რომ ადამიანები, რომლებიც ეწეოდნენ სიგარეტს და აკეთებდნენ მის რეკლამას, სინამდვილეში, ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ.

შენიშვნა:

დისკუსიის შედეგად, მოსწავლეებმა პასუხები გასცეს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს და კრიტიკულად შეაფასეს მასალა. მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებები და გამოიტანეს დასკვნები.

აქტივობა მესამე - პრეზენტაციის ჩვენება (10წთ):

მასწავლებელი ახდენს მომზადებული მასალის პრეზენტაციას, თემაზე -

„ჯანსაღი ცხოვრების წესი - თამბაქო“



ჯანსაღი ცხოვრების წესი
გიორგი მამასახლისი
აქტივობა მესამე - დისკუსია (10 წთ):

პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

კითხვა: რა არის თამბაქოს წვევის დაწყების მიზეზები?

სავარაუდო პასუხი: თამბაქოს წვევის დაწყების მიზეზები - ა) ცნობისმოყვარეობა; ბ) ამხანაგის, მშობლის ან სათაყვანებელი პირის მიზაძა; გ) იმის მტკიცება, რომ უკვე უფროსი ასაკისაა და დამოუკიდებელია; დ) ამხანაგის მიერ სიგარეტის შეთავაზება; ე) გოგონების მიერ თამბაქოს წვევის დაწყება ხშირად დაკავშირებულია კეკლუცობასთან, დიდ სურვილთან, იყვნენ ორიგინალურნი და მოაწონონ თავი ბიჭებს.

კითხვა: მწველთა რამდენი ტიპი არსებობს?

სავარაუდო პასუხი: არსებობს მწველთა ორი ტიპი: იშვიათი და რეგულარული.

კითხვა: როგორია თამბაქოს მავნე გავლენა ორგანიზმზე?

სავარაუდო პასუხი: თამბაქოს წვევის პროცესში წარმოქმნილი ნივთიერებები მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ყველა ორგანოზე და, შესაბამისად, ყველა სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

კითხვა: რა დასკვნა გამოიტანეთ ნანახი ვიდეორგოლებიდან და პრეზენტაციიდან?

სავარაუდო პასუხი: თამბაქოს წვევა არის პირდაპირი გზა დაავადებისაკენ და სიცოცხლის შემოკლებისაკენ. მიუხედავად სიგარეტის მიმზიდველი რეკლამებისა, არასოდეს დაიწყეთ მისი მოწევა. სიგარეტის თავის დანებება არის ძალიან სასარგებლო - თუ გსურს, თავი დაანებო სიგარეტის წვევის ამ მავნე ჩვევას, პირველ რიგში, უნდა გააცნობიერო, თუ რა დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს თან ამ ფაქტს. თამბაქოს წვევის მავნე ჩვევისთვის თავის მინებება ყოველთვის შეიძლება. ამისათვის საჭიროა მხოლოდ სურვილი და ნებისყოფა.

შენიშვნა:

პრეზენტაციის გაცნობის შემდეგ, მასწავლებელმა შეამოწმა, თუ რა ცოდნა მიიღეს და რა შეისწავლეს მოსწავლეებმა თამბაქოს შესახებ. ყველა მოსწავლე აქტიურად ჩაერთო საუბარში, მიიღეს მონაწილეობა თემის განხილვაში და უპასუხეს კითხვებს.

VII. შეფასების ინსტრუმენტები:

1. რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს, აღწერონ, თუ რა მავნე ზეგავლენას ახდენს თამბაქოს მოხმარება ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე;
2. რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს, გაითავისონ ჯანსაღი ცხოვრების წესი;
3. შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, მოახდინონ მედიაარესურსებით მიწოდებული ინფორმაციის ანალიზი;

ჯანსაღი ცხოვრების წესი
გიორგი მამასახლისი

4. შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს კრიტიკული ანალიზი, დასკვნების გაკეთება და არჩევანის არგუმენტირებული დასაბუთება.

VIII. გამოყენებული მულტიმედია რესურსები:



<https://www.youtube.com/watch?v=PGWarINnX2g>

<https://www.youtube.com/watch?v=zh0fO-COqgM>

პრეზენტაცია - „ჯანსაღი ცხოვრების წესი - თამბაქო“

